

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტის მომზადებით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელაღსრულების ორგანოების სისტემურ და ფუნქციურ ცვლილებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ „პატიმრობის კოდექსის“ ახალ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი მომზადებულია „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტიდან გამომდინარე. კანონპროექტის მიხედვით ტერმინები „თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაცია“, „პატიმრობის მოხდის ადგილი“ და „სასჯელაღსრულების დაწესებულება“ იცვლება შესაბამისად ტერმინებით „წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია“, „წინასწარი პატიმრობის მოხდის ადგილი“ და „წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“.

გარდა ამისა, კანონპროექტი ასახავს წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენციას მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელ ნაწილში უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების პროცედურას. აქედან გამომდინარე, შესაბამისად გადაამუშავდა კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ზემოაღნიშნულ საკითხებს აწესრიგებენ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

